პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 იანვარი, შაბათი, 1989 წ. № 14 (9931) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მიმართვა ყველას გვეხება

## ჩვენი წვლილიც უნდა იყოს

**დარწმუნებული** ვარ, ყველა დამეთანხმება: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ნამდვილად საეტაპო მნიშვნელობის დოკუმენტია და არც იმაში შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა ხალხმა ეს მიმართვა გარდაქმნის სადღეისო ეტაპის მანიფესტადაც აღიქვა.

რა არის ჩვენი ამ რწმენის საფუძველი? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ პარტიის მიზნები, სამოქმედო გეგმა და სამომავლო ამოცანები უშუალოდ დაუახლოვდა და დაუკავშირდა ხალხს, ადამიანებს: „თვით გარდაქმნის იდეა ადამიანისათვის ზრუნვით არის შობილი და ნაკარნახევი. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის, ცხოვრების გაუმჯობესება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის თავი და თავია" — ნათქვამია მიმართვაში.

უკვე უახლოეს წლებში საბჭოთა ადამიანებმა უკეთ უნდა იცხოვრონ — ეს სიტყვები, ეს ამოცანა გარდაქმნის კონკრეტულ გეზად დაისახა პარტიამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 10 იანვრის პლენუმზე მიღებული მიმართვა სწორედ ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ამავე დროს, პარტია დარწმუნებულია — გარდაქმნა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს წარმატებული, როცა მისი მთავარი მოქმედი პირი ადამიანი ხდება.

ეს კი, დამერწმუნებით, მოწოდებაა, მოწოდება აქტიურობისაკენ, ინიციატივისაკენ, სულიერი და მატერიალური ცხოვრების რადიკალური გარდაქმნისა და განახლებისაკენ. ეს მოწოდება, ცხადია, ჩვენც გვეხება — საბჭოთა სპორტის მუშაკებს — საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში ხომ ჩვენი წვლილიც უნდა იყოს, ჩვენი წილი ყამირიც აუცილებლად უნდა გატყდეს, რადგან საბჭოთა ადამიანების სულისა და სხეულის სიჯანსაღე პარტიას თავის ერთ-ერთ საპროგრამო ამოცანად დაუსახავს. ერთი სიტყვით, არავითარი უფლება არა გვაქვს ვიყოთ მომლოდინენი, გარეშენი და გულგრილნი გარდაქმნის ჩვენეული ამოცანების მიმართ — გარდაქმნა ნამდვილად არის დღევანდელობით ნაბოძები ჩვენი მოძრაობის ბედი და შანსი, ასე რომ, უნდა ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც ჩვენი ფიზკულტურისა და სპორტისათვის ისტორიული გარდატეხის ამ ეტაპს ეკადრება.

**რობერტ შავლაყაძე,**
**ოლიმპიური ჩემპიონი.**

არმიელ სპორტსმენთა საკავშირო პირველობა ძიუდოში

## უდავო უპირატესობა

**ქალთა** ძიუდო ჩვენში ახლა იკიდებს ფეხს და პირველ გამარჯვებებს სპორტსმენებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მართლაც დიდ წარმატებას მიაღწიეს 1974-75 წლებში დაბადებულმა თბილისელმა გოგოებმა. არმიელ სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე, რომელიც ორიოდე დღის წინ დამთავრდა როსტოვში. მათ დიდ უპირატესობით მოიგეს გუნდური პირველობა, ხოლო პირად შეჯიბრებაში ცხრა მათგანი მოხვდა ფინალში.

საბოლოოდ, იმ ცხრა ფინალისტიდან ოთხმა გაიმარჯვა, ხოლო დანარჩენი ხუთი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. პირველი ადგილები დაიკავეს თეა ჩანტლაძემ (39 კგ), ქეთინო ნატროშვილმა (48), ირმა მელიქიშვილმა (65), ნინო ჭუცნიაშვილმა (მძიმე), მეორე ადგილებზე გავიდნენ: მაია გობეჯიშვილი (56), სედა აკოფოვა (61), ენძელა სოლოღაშვილი (70), ლელა ხუციშვილი (75) და ნინო მარჯანაშვილი (მძიმე წონა).

ასეთი წარმატების შემდეგ ამ ასაკის არმიელ ძიუდოისტ გოგონათა საკავშირო ნაკრები თბილისის გუნდის ბაზაზე დაკომპლექტდება, ნაკრები თბილისში გაივლის ბოლო საწვრთნელ შეკრებას და საბოლოო სახესაც აქვე მიიღებს.

## დღეს და ხვალ

### თქვენთვის თბილისელებო, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღოთ მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში

**დღეს** 11 საათიდან სპორტკლუბ „სინათლის" სპორტულ დარბაზში შეგიძლიათ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულებთან ერთად მონაწილეობა მიიღოთ გაერთიანების ღია პირველობაში. იქვე 12 საათიდან ასპარეზობაში ჩაებმებიან ჭადრაკის თაყვანისმცემლები.

დღესვე სპორტკლუბ „გამარჯვების" ტირში (11 საათიდან) შეგიძლიათ იასპარეზოთ ტყვიის სროლაში. ხოლო კავშირგაბმულობის ტექნიკუმის სპორტულ დარბაზში დღეს და ხვალ, ასევე 11 საათიდან, სარბიელი დაეთმობათ მინიფეხბურთში მონაწილეობის მსურველებს. იმავე დროს (დღეს და ხვალ) სპორტკლუბი „შევარდენი" იწვევს იმათ, ვისაც დასვენების დღეებში რამდენიმე საათი უნდა დაუთმოს კალათბურთის თამაშს. სპორტული კლუბი „ფეიქარი" კი დღეს და ხვალ 18 საათიდან სპორტული დარბაზის კარს გაუღებს სიმძიმეების აწევაში მოასპარეზეებს.

ხვალ სხვა სპორტულ ბაზებსაც შეგიძლიათ ეწვიოთ. პროგრამა ასეთია: კალათბურთი — (53-ე საშუალო სკოლა, 10 სთ.), 36-ე პროფტექნიკური სასწავლებელი (12 სთ.), კალათბურთის სპორტსკოლა (წერეთლის გამზირი, 11 სთ.), მინიფეხბურთი — (50-ე საშუალო სკოლა, 10 სთ.).



ახალგაზრდების საკავშირო პირველობა მშვილდოსნობაში

## გუნდურში — პირველი, პირადში — მეორე

**წლევანდელ** სპორტულ. სეზონში ჩვენს მშვილდოსანთაგან პირველი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს თბილისელმა სპორტსმენებმა, რკინიგზის №2 სკოლის მეთერთმეტეკლასელმა ნატო ნასარიძემ და მისმა თანაგუნდელმა სულიკო თოფურიამ — 51-ე სკოლის X კლასის მოსწავლემ.

ამ წყვილმა გაიმარჯვა ნოვოჩებოქსარსკში (ჩუვაშეთის ასსრ) გამართულ ახალგაზრდა (1971-1973 წ.წ. დაბ.) სპორტსმენთა საკავშირო პირველობაში, რომელშიც სპორტსაზოგადოებათა ნაკრებები მონაწილეობდნენ.

მაღალი შედეგები ჰქონდა ნატო ნასარიძეს პირად პირველობაშიც, მან შეჯიბრების ფინალში, რომელსაც ვ. წ. ფიტას დიდი წრე ჰქვია, 323 ქულა მოაგროვა და II ადგილი დაიკავა — მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს.

მთლიან შეჯიბრებაში მისი შედეგია 2592 ქულა, რაც ბევრად არ ჩამორჩება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს. ამ ნორმატივთან უფრო ახლოა ნასარიძის მაჩვენებელი. ასპარეზობის ერთ-ნახევარში — 1290 ქულა, რაც მშვილდოსნობაში აგრეთვე დამოუკიდებელ შედეგად ითვლება.

ნატო ნასარიძე და სულიკო თოფურია სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" აღზრდილები არიან, ორივეს ვლადიმერ ლეკვეიშვილი და ალექსანდრე მეძმაძე (?) ავარჯიშებენ.

**სურათზე: ნატო ნასარიძე (მარცხნივ) და სულიკო თოფურია.**

## თანადგომა

### ვეტერანთა საქველმოქმედო მატჩები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რძის დამამზადებელმა ფირმა „მიულერ-მილხმა" წინადადებით მიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას გაიმართოს ორი საქველმოქმედო მატჩი ევროპისა და სსრ კავშირის ვეტერან ფეხბურთელთა მონაწილეობით. ამ მატჩების მთელი შემოსავალი გადაეცემა სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ფონდს. ფირმამ ამ ფონდში უკვე გადარიცხა 100 ათასი მარკა.

ამ შეხვედრებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს დასავლეთგერმანელმა ფრანც ბეკენბაუერმა, ფრანგმა მიშელ პლატინიმ, ინგლისელმა ბობი ჩარლტონმა, ავსტრიელმა ჰანს კრანკლმა და წარსულის სხვა გამოჩენილმა ფეხბურთელებმა. ფირმას სურს, რომ სსრ კავშირის ნაკრებში ითამაშონ ვლადიმერ მასლაჩენკომ, ნიკიტა სიმონიანმა, იგორ ნეტომ, ვიქტორ პონედელნიკმა, ედუარდ სტრელცოვმა.

პირველი მატჩი 5 მარტს შედგება აუქსბურგში (გფრ). მეორე თამაში სსრ კავშირში გაიმართება ივნის-ივლისში. ადგილი და დრო ჯერ დადგენილი არაა.

### დახმარების ფონდში

**სომხეთში** მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარების ფონდში თითო დღის ხელფასი გადარიცხეს ვანის რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის (დირექტორი ზურაბ გვენეტაძე) თანამშრომლებმა.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

## მომავალ შაბათს...



28 იანვარს, 14 საათზე თბილისის კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) ჩატარდება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობის მორიგი შეხვედრები. მეტოქე წყვილებია: კაჭრეთი (გურჯაანის რაიონი) — წინამძღვრიანთკარი (მცხეთის რაიონი); ფცა (ქარელის რაიონი) — ზემოქედი (წითელწყაროს რაიონი).

დღეს, 21 იანვარს, შეხვედრები არ გაიმართება.

პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

## „რისთვის იგმგმება შეჯიბრებები?"

ამ სათაურით „ლელოს" 5 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც ზამთრის არდადეგების დღეებში თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტული ღონისძიებების ჩატარებას ეხებოდა.

აღნიშნული ნაკლოვანებები სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ.

მიუხედავად იმისა, რომ 3 და 4 იანვარს ცუდი ამინდი იყო და მოსწავლეებს ღონისძიებაზე მოსვლა გაუჭირდათ, პედაგოგიურმა კოლექტივმა პრინციპულად შეაფასა ფიზკულტურის მასწავლებლის გ. სამხარაძის საქმისადმი ზერელე, გულგრილი დამოკიდებულება და დირექტორის მოადგილის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარების საქმეში.

ფიზკულტურის მასწავლებელს სასტიკი საყვედური გამოეცხადა, დირექტორის მოადგილეს მიეთითა.

**გ. დევდარიანი,**
**52-ე საშუალო სკოლის დირექტორი.**

ტელეტაიპი — მკითხველი

**ბირმინგემი.** ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლები ფიგურულ ციგურაობაში (სპორტული წყვილები) ლენინგრადელებმა ლარისა სელეზნიოვამ და ოლეგ მაკაროვმა მოიგეს. სხვა ორ საბჭოთა დუეტს (ნატალია მიშკუტენოკი — არტურ დმიტრიევი და ელენა კვიტჩენკო — რაშიდ კადირკაევი) შესაბამისად მესამე და მეოთხე ადგილები ხვდა. ვერცხლის მედლები კი გდრ-ის წყვილმა (მანდი ვოტცელი და აქსელ რაუშენბახი) მოიპოვა. ვაჟთა ერთეულებში ჩემპიონი ალექსანდრე ფადეევი გახდა.

**კარაკასი.** დაიწყო სამხრეთ ამერიკაში პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლა „ტაჩირა". პროლოგი და პირველი ეტაპი ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა მოიგო. დისტანცია, რომლის სიგრძე 117 კილომეტრი იყო, მან 2:51.58-ში დაფარა. ლიდერთა საშულში ეკიმოვის გარდა კიდევ ორი საბჭოთა ველოსიპედისტია, დიმიტრი ჟდანოვი და დიმიტრი ნელიუბინი.

**რომი.** ფრენბურთელთა ევროპის კონფედერაციის თასის გათამაშების საპასუხო შეხვედრაში ლენინგრადის „ავტომობილისტი" იტალიის „პოცილოსთან" დამარცხდა — 1:3 (პირველი ორთაბრძოლა ჩვენს გუნდს მოგებული ჰქონდა ანგარიშით 3:0). ლენინგრადელები განაგრძობენ ასპარეზობას.

**პარმა.** ფრენბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს გამოეთიშა „დინამო" (მოსკოვის ოლქი). მან ორი შეხვედრა წააგო ადგილობრივ „მაქსიკონოსთან" 1:3 და 0:3.

„ლელოს“ პასუხი — სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

# ახალი საფეხბურთო სეზონი სიახლით იწყება

**რედაქციაში** შემოდის წერილები, რომლებშიც მკითხველები, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე სპორტსმენები და მწვრთნელები გვთხოვენ განვუმარტოთ, თუ რა წესით და რეგლამენტით ჩატარდება წლევანდელი პირველობა. აქვე ვიტყვით: ახალი ჩემპიონატი ჩატარდება იმავე წესით, როგორითაც გასული წლის სეზონი დამთავრდა, ამ საკითხთან დაკავშირებით ძალაში რჩება ყველა ადრინდელი გადაწყვეტილება.

განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია ფეხბურთელთა ასაკის შეზღუდვამ (24 წლამდე). ცხადია, ასეთი გადაწყვეტილების მიღება თვით ჩვენს ფეხბურთში შექმნილი ძალზე არასახარბიელო მდგომარეობით იყო გამოწვეული. არავინ აპირებს იმის მტკიცებას, რომ ეს ყოვლისშემძლე პანაცეა გახლავთ, რომ ამგვარი შეზღუდვა ერთბაშად გადაჭრის ყველა რთულ პრობლემას, მაგრამ არც რეალური ვითარების შეუფასებლობა შეიძლებოდა. ადრინდელმა სისტემამ აშკარად არ გაამართლა და ასაკის შეზღუდვაც სიახლის ძიების აუცილებლობამ დააყენა დღის წესრიგში. კატეგორიულნი რომ არ ვიყოთ, უკანაც მოვიხედოთ. ძალზე შორს ნუ წავალთ, ბოლო ხუთი წლის შედეგებს გადავხედოთ: ვინ მისცა ამ წლებში საქართველოს ჩემპიონატმა ჩვენი უმაღლესი ლიგის გუნდებს? ძალიან ცოტა ახალგაზრდა ფეხბურთელი. რესპუბლიკის მთავარ გუნდში, თბილისის „დინამოში“, რომელიც უმთავრესი ორიენტირი უნდა იყოს ყველა ფეხბურთელისთვის, ს. ჭედიას გარდა არავინ მოსულა. შევაფასოთ ეს ფაქტი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის (ვფიქრობთ, დიდი ნაწილის) შეხედულებით. ბევრნი ფიქრობდნენ, რომ საქართველოს საფეხბურთო პირველობის მონაწილე გუნდები ძირითადად დაკომპლექტებულია უპერსპექტივო და ასაკოვანი ფეხბურთელებით, ისეთი სპორტსმენებით, რომლებსაც თავიანთ ძირითად საქმედ აქვთ მიჩნეული ფეხბურთი და ყველა ღონეს ხმარობენ, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ ადგილი გუნდში. ისინი საკუთარი ოსტატობის დონის ამაღლებაზე არც ფიქრობენ, არც უფრო მაღალი რანგის გუნდებში თამაშით არიან დაინტერესებული. აქვე გთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს წერილებიდან: „რა ინტერესი უნდა ჰქონდეს სპორტულ სკოლას და ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელს, ან თვით მოზარდს, თუკი იცის, რომ ადგილობრივ გუნდში მოხვედრა პრობლემაა?“, „ასაკოვანი ფეხბურთელები ერთგვარი კერპები არიან ადგილობრივი გულშემატკივრებისთვის. ამ გულშემატკივრებს ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ მათი კერპი (რაიონში სპორტსმენის თაყვანისმცემლები, ძირითადად მაინც, მეგობრები და ახლობლები არიან) შეიძლება ვინმე პატარა ბიჭმა ან ჭაბუკმა შეცვალოს. ეს ხომ პროვინციალიზმია. ნუ შემოვავლებთ საერთო ინტერესებს საკუთარ ღობეს და დიდ მიზანს — ქართულ ფეხბურთს ვცეთ პატივი“. ან კიდევ: „ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელები, კიდეც რომ მოხვდნენ გუნდში, დაოსტატებისთვის ყველაფერს ილონებენ. თქვენ არ იცით, რა ატმოსფეროა რაიონის გუნდში, პატარებს ყველა ზემოდან უყურებს. ეს კიდევ არაფერი, კარგს რას ისწავლიან იმ „ძიებისაგან“ ახალგაზრდები, თუკი ვეტერანები აგდებით ეკიდებიან ფეხბურთს, იჩენენ მისდამი არა პატრიოტულ, არამედ მომხმარებლურ დამოკიდებულებას, თქვენ, ალბათ, არც ამ გუნდებში შექმნილი ზნეობრივ-მორალური ატმოსფეროს შესახებ იცით ყველაფერი...“ და ა. შ. და ა. შ.

რა ვქნათ? ჩვენ არც ვამბობთ და არც ვამტკიცებთ, რომ ყველგან მართლა ასეა საქმე, თუმცა, თუნდაც მარტო 1987-88 წლებში საქართველოს საფეხბურთო პირველობის მატჩებში მომხდარი ექსცესები და ნეგატიური მოვლენები არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ საზოგადოებრივ აზრს ანგარიში არ გავუწიოთ. ძირითადად მართლაც გაუკითხაობაა ჩვენს ფეხბურთში. ეს—რაც ჩანს, ახლა რაც არ ჩანს?

23 წელი! ამ სიახლეს ძალიან ბევრი უჭერს მხარს. თუმცა, წერილებში გვხვდება ასეთი ფრაზებიც: „დაღუპავთ ქართულ ფეხბურთს“, „ჩვენი სპორტსმენები სხვა რესპუბლიკებში წავლენ“, „შემოიღეთ ლიმიტი — ნახევარი ასაკოვანი, ნახევარი ახალგაზრდა“ და ა. შ. ოპონენტებს შეგვიძლია აქვე ვუპასუხოთ: იმაზე უარესი, თუ გნებავთ, დასაღუპავი რაღა იქნება, რასაც ვხედავთ და ეს ქაოსი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვემალება? დიახ, ითამაშონ ახალგაზრდებმა, — ვიმეორებთ, — ეს შეიძლება სრული ხნის მომასწავებელი ნაბიჯი არ იყოს, მაგრამ მაინც უნდა მოვსინჯოთ, გნებავთ ექსპერიმენტი დაარქვით ამ ნაბიჯს. ვნახოთ, რა გამოვა. ვიმეორებთ, იმაზე უარესი, ახლა რომაა, ნამდვილად არ იქნება. ასაკის შეზღუდვა კატეგორიული გადაწყვეტილებაა, რასაც საზოგადოებრიობის დიდ ნაწილთან ერთად მხარს უჭერენ რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოები. არ არის დასამალი, რომ ადგილებზე ჩამკვდარია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა და მხოლოდ ფეხბურთია ჯეროვან პატივში, მაგრამ რას ვიღებთ ამ ზრუნვისაგან, როგორია უკუგება? ახალგაზრდებზე ყურადღების გადატანა სტიმულს მისცემს რაიონებში და სოფლებში მასობრივი ფეხბურთით მოზარდების დაინტერესებას. ესეც ხომ საქმეა! ამ საკითხს 17 იანვარს გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზეც გაესვა ხაზი.

ახალი საფეხბურთო სეზონი კარს მოგვადგა. ვფიქრობთ, ყველაფერი გარკვეულია, საქართველოს წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი სიახლით იწყება.

# ნუ გავებუტებით ერთმანეთს

„როდემდე უნდა გვდევნიდნენ?“ — ამ სათაურით შარშან, „ლელოს“ 2 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა მოყვარულ მეთევზეთა წერილი, რომელშიც მათ თავიანთი გულისტკივილი გაგვიზიარეს. მეთევზეთა საწუხარს ჩვენ უფრო ადრეც (მარშანწინ, 15 ივლისს) დავუთმეთ ადგილი გაზეთში, მაგრამ, როგორც მეორე წერილმა დაგვარწმუნა, ამით საქმეს არაფერი ეშველა: მდგომარეობა უცვლელია, 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე, როგორც წესი, კვლავ გვიკრძალავენ გუბისწყალზე, ცხენისწყალზე, ხევისწყალზე, ნოღელაზე, აბაშისწყალზე, ტეხურაზე და ხობისწყალზე ანკესით თევზაობას და, როგორც აბაშის ზონის ეგერმა კუჭუხიძემ გამოგვიცხადა, 1 სექტემბრის შემდეგაც მთელი წლის განმავლობაში ყოველ დაჭერილ წვერაზე და ლოქოზე დაგაჯარიმებთო — გვწერდნენ მეთევზეები.

ახლახან ამ წერილთან დაკავშირებით რედაქციაში გვესტუმრნენ „საქმავზღვათევზმშენის“ სამმართველოს თევზდაცვის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი ალექსანდრე ლანგენი და ამავე სამმართველოს ზუგდიდის სარაიონთაშორისო თევზდაცვის აბაშის ზონის უმცროსი სახელმწიფო ინსპექტორი ჟორჟ კუჭუხიძე. გთავაზობთ მათ კომენტარს.

ჟ. კუჭუხიძე: მართალია, ჩვენი აზრით, „ლელოში“ გამოქვეყნებულ წერილში მოყვარული მეთევზეები საკითხს არასწორად აყენებენ, მაგრამ ვჩქარობ დავძინო, რომ მათი გულისტკივილის უყურადღებოდ დატოვებაც არ შეიძლება, ისინი აშკარად საჭიროებენ მხარდაჭერას, თუმცა არა თევზდაცვის ინსპექტორების აუგად ხსენების ხარჯზე. ჩვენ ვმოქმედებთ დაშვებული ინსტრუქციის თანახმად, ესე იგი, გვევალება არა მარტო პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ინსტრუქტაჟის ჩატარება, არამედ, თუ საჭირო იქნება, არამართლზომიერი მოქმედებების აღკვეთა. მოქმედი კანონმდებლობით, თევზჭერა იკრძალება 1 მაისიდან 31 აგვისტომდე. ამ დროს მოყვარული მეთევზეები, მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა გარდა, რაიმე პრივილეგიით არ სარგებლობენ, ყველა სახის თევზჭერაზე დაწესებულია სათანადო ჯარიმა. თუ ზემდგომი ორგანოები გაითვალისწინებენ ამ მდგომარეობას და თევზჭერის მოყვარულებს, ისე როგორც ეს გრიგოლეთშია, გამოუყოფენ ადგილს, სადაც მათ აკრძალვის პერიოდშიც შეეძლებათ თევზაობა, ჩვენ ამ ფაქტს მივესალმებით, თუ არა და, რა ვქნათ, კვლავაც ინსტრუქციის თანახმად ვიმოქმედებთ და მათ მიერ ჩამოთვლილ მდინარეებში ქვირითობის პერიოდში თევზაობას აუკრძალავთ.

მეთევზეთა მეორე წერილში ნათქვამია, ეგერმა კუჭუხიძემ, სხვათა შორის, ეგერის ნაცვლად უნდა იყოს თევზდაცვის სახელმწიფო ინსპექტორი, გამოგვიცხადა, არც პირველი სექტემბრის შემდეგ მოგცემთ ანკესით თევზაობის უფლებასო. წერილის ერთ-ერთი ავტორი გ. პაპავა 1987 წლის 26 ივლისს 15 მანეთით დავაჯარიმე თევზჭერის წესების დარღვევის გამო. არც ის არის უცილობელი ჭეშმარიტება, თითქოს თევზი ქვირითობისას ანკესს არ ეტანებოდეს — შესაძლოა ანკესს არ გაეკაროს მხოლოდ ის თევზი, რომელმაც დღე-დღეზე უნდა დაყაროს ქვირითი. ერთი სიტყვით, აქაც დიდი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, ასე რომ, ნურავის ეწყინება, თუ კვლავაც ვიხელმძღვანელებთ იმ ინსტრუქციით, რომელიც კრძალავს ყველა სახის თევზაობას 1 მაისიდან 31 აგვისტომდე. თუ ჟურნალ „რიბოლოვის“ მრავალ სტატიაში საპირისპირო აზრია გამოთქმული, მაშინ ზემდგომმა რესპუბლიკურმა ორგანოებმა გაითვალისწინონ ეს გარემოება, შეცვალონ არსებული ინსტრუქცია და ჩვენც ისე ვიმოქმედებთ, როგორც მიგვითითებენ.

რაც შეეხება მეთევზეთა მტკიცებას — თევზდაცვის ინსპექტორები ბრაკონიერებთან „საქმიან“ კონტაქტში არიან შემჩნეულნიო, ეჭვგარეშეა, ყოველი ასეთი ხელმრუდი მუშაკი უნდა გამოვლინდეს და მკაცრად დაისაჯოს. ვიმეორებ, ჩვენთვის სულ ერთია, მსუბუქია დანაშაული თუ მძიმე — ვერც ერთ მათგანს გვერდს ვერავუვლით. ეს ყველას უნდა ესმოდეს, არავის ეწყინოს და გაბრაზებულმა იმის მტკიცება არ უნდა დაიწყოს, თევზდაცვის ინსპექტორები მარტო ჩვენ, მოყვარულ მეთევზეებს გვდევნიანო.

ა. ლანგენი: წყალსაცავების ახალი ნუსხისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 მარტის დადგენილების თანახმად, სპორტული და სამოყვარულო თევზჭერის განვითარებისათვის მონკავშირს არ გადასცემია „ლელოში“ გამოქვეყნებულ წერილის ავტორთა მიერ ჩამოთვლილი არც ერთი მდინარე ან მათი ნაწილი, ასე რომ თევზჭერის მოყვარულთა პრეტენზიები უსაფუძვლოა. ცნობისათვის: მონკავშირს ქუთაისის ზონაში გადაეცა მხოლოდ გუმათისა და ახალი ვარციხის წყალსაცავები, აგრეთვე კულევის ტბა და ენგურის წყალსაცავი. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ მონკავშირმა, ისე როგორც ეს მტკვარზე, ალაზანზე და ხრამზეა, დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონშიც გამოჰყოს ტერიტორია სამოყვარულო თევზჭერის განსავითარებლად. თუ ეს საკითხი მოგვარდა, ჩვენ, ასე ვთქვათ, ორ კურდღელს დავიჭერთ — ამ რეგიონში მცხოვრებ თევზჭერის მოყვარულებს თავისი „სარბიელი“ ექნებათ, ამავე დროს, მათი ჰობი და პირადად ისინი შეგვეშველებიან ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩემი აზრით, აუცილებელიც კია, რომ მეთევზე-მოყვარულებმა შეავსონ თევზდაცვის საზოგადოებრივ ინსპექტორთა რიგები. თავად ცხოვრება გვკარნახობს ჩვენი თანამშრომლების იდეასა და აუცილებლობას, ასე რომ, მოდით, ნუ გავებუტებით ერთმანეთს, პატივი ვცეთ სხვის მოვალეობას და საკუთარ გატაცებასაც. ასე აჯობებს საქმისათვის.

# 12 ტურის შემდეგ

**დასასრულს** მიუახლოვდა ჭადრაკის სასახლის პირველობის ფინალური ტურნირი.

X-XII ტურების ტექნიკური შედეგები ასეთია: **X ტური:** ჭიკაძე-კაკაბაძე — 0:1, ქსოვრელი-გოგოხია — 0:1, ტახტაროვი-ვ. ვაშაკიძე — 0:1, კატაშიანი-არზუმანოვი — 0:1, ნეჩაევი-ლომაძე — 1:0, გოგაძე-სიგუა — 0:1, კვარაცხელია-პეტრიაშვილი — 0,5:0,5, ჩაჩუა-პ. ვაშაკიძე — 0,5:0,5. **XI ტური:** სიგუა-ტახტაროვი — 0:1, ლომაძე-ჩაჩუა — 0:1, პეტრიაშვილი-ქსოვრელი — 1:0, კაკაბაძე-კვარაცხელია — 0:1, არზუმანოვი-ნეჩაევი — 0:1, ვ. ვაშაკიძე-ჭიკაძე — 0,5:0,5, გოგოხია-კარტაშიანი — 0,5:0,5, პ. ვაშაკიძე-გოგაძე — 0,5:0,5, **XII ტური:** კარტაშიანი-პეტრიაშვილი — 0:1, ვ. ვაშაკიძე-სიგუა — 0:1, გოგაძე-ლომაძე — 1:0, ტახტაროვი-პ. ვაშაკიძე — 0:1, ჭიკაძე-კვარაცხელია — 0,5:0,5, ქსოვრელი-კაკაბაძე — 0,5:0,5, ჩაჩუა-არზუმანოვი — 0,5:0,5. გადაიდო ნეჩაევ-გოგოხიას პარტია.

შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. **I ტური:** გოგაძე-კაკაბაძე — 1:0, **III ტური:** ნეჩაევი-ჭიკაძე — 1:0, გოგაძე-ქსოვრელი — 1:0, **IV ტური:** ქსოვრელი-ტახტაროვი — 0,5:0,5, **V ტური:** პ. ვაშაკიძე-კაკაბაძე — 1:0, **VII ტური:** ლომაძე-კვარაცხელია — 0:1, **VIII ტური:** კვარაცხელია-არზუმანოვი — 0,5:0,5, **IX ტური:** პეტრიაშვილი-კაკაბაძე — 1:0, პ. ვაშაკიძე-ნეჩაევი — 0,5:0,5, არზუმანოვი-ქსოვრელი — 0,5:0,5.

12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: იური ნეჩაევი — 9,5 (2), კახა პეტრიაშვილი, ბექა კვარაცხელია — 9,5-9,5, პაატა ვაშაკიძე — 8, რევაზ სიგუა — 7,5.

მამა-შვილი ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში

# სატკივარს მალვა არ შველის

**მოსწავლეებს** საახალწლო არდადეგები ჰქონდათ და შუადღეც კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ ველისციხის მე-13 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში (ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ავთანდილ ჯალაღანია) მაინც ადგილზე დაგვხვდა. არცაა გასაკვირი, 35 წელია აქ მუშაობს და ისე შეეთვისა იქაურობას, აღარ ეთმობა.

უკეთეს მეგზურს ვერც ვინატრებდი და მასთან ერთად პირველ რიგში სპორტული ბაზები დავათვალიერე, შემდეგ კი სასაუბროდ თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია.

ბევრი სასიკეთო რამ ვნახეთ და აუგის სათქმელად ენაც არ მოგვიბრუნდება, მაგრამ ერთი მაინც უნდა აღვნიშნოთ — ისეთი სპორტული ტრადიციების მქონე სასწავლებელს, როგორიც ველისციხის პროფტექნიკური სასწავლებელია, არც აკმაყოფილებს და არც ეკადრება ისეთი დარბაზი, თავვი კუდს რომ ვერ მოიქნევს.

— სხვის ხელებში შემყურე არასდროს ვყოფილვართ, რაც ნახეთ, დარბაზის გარდა, ყველაფერი ჩვენი ხელით გავაკეთეთ მე და ჩემმა ბიჭებმა, — სიამაყით ამბობს ავთანდილი. სპორტული მოედნების ხილვით ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩა, რომ აქ ყველაფერს ზრუნვის, რუდუნების ხელი უფრო ატყვია, ვიდრე ღონიერი პატრონისა.

სასწავლებელმა ღია სპორტული კომპლექსი საკუთარი ძალებით მოაწყო. აქვთ ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორი, ეგრეთწოდებული სატანვარჯიშო ქალაქი. ღია საცურაო აუზი ცოტა ხნის წინ გაარემონტეს, მაგრამ ზაფხულისთვის მცირე შეკეთებას მაინც საჭიროებს. საბედნიეროდ, აქ წყლის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოუგვარებიათ.

ერთ-ერთი კორპუსის პირველ სართულზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში სავარჯიშოდ ოთხი დიდი ოთახია გამოყოფილი და აღჭურვილი. იქვეა კლასკაბინეტი თეორიული მეცადინეობისათვის. მას აქვს პატარა ბიბლიოთეკა და კინოსაპროექციო დანადგარი, გვერდით კი სპორტულ მიღწევათა მუზეუმია.

მუზეუმს რომ ვამბობთ, გაზვიადებად არ ჩაგვითვალოთ. ეს ნამდვილი მუზეუმია, სადაც გამოფენილია მრავალი თასი, მედალი, დიპლომი და სხვა სპორტული ნადავლი, რომელიც სხვადასხვა წლებში რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზეა მოპოვებული.

ველისციხელთა განსაკუთრებული სიამაყის საგანს წარმოადგენს ოთხი საკავშირო დიდი ოქროს მედალი, რომელიც სასწავლებელს სხვადასხვა წლებში გადაეცა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

წინა წლების მიღწევებზე დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანს. პროფტექნიკური სასწავლებლების ბოლო რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალში ველისციხელებმა ექვს სახეობაში იასპარეზეს და ექვსივეში საპრიზო ადგილები დაიკავეს. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ჭადრაკში — ზაზა თომაშვილი და ლევან ნატროშვილი, მაგიდის ჩოგბურთში — დარეჯან ტურიაშვილი, ლალი ქუმსიაშვილი, დალი ნაზარიანი, აკაკი ჩითაიშვილი, გოჩა ბეკანიშვილი და ალექსანდრე ღოღაშვილი. ველისციხის სასწავლებლის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა სპორტულ ორიენტირებაში, მესამე — ტურიზმსა და ფრენბურთში (ვაჟებში).

სამწუხაროდ, სპარტაკიადის ორგანიზატორებს საბოლოო გუნდური შედეგები ჯერაც არ გამოუცხადებიათ.

— გულხელდაკრეფილები არა ვსხედვართ, — ამბობს ავთანდილ ჯალაღანია. — წელიწადში საშუალოდ 15-20-ჯერ მარტო შიდასასკოლო ღონისძიებას ვმართავთ. ეს ოთახები, კლასკაბინეტი და მუზეუმი მე და ჩემმა ვაჟმა, რევაზმა როგორც შევძელით, საკუთარი ხელით მოვაწყვეთ. უკვე შვიდი წელია, რაც რეზომ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა მხარში მიდგას — ჩემს გზას გამოჰყვა, თუმცა, ბევრი ურჩიე სხვა პროფესია აერჩია. რატომაო? მკითხავთ. ამ საქმეში კაცმა ან ყველაფერი უნდა გაიღოს ან საერთოდ არ უნდა მოჰკიდოს ხელი. 40 წელზე მეტია, ფიზკულტურასა და სპორტს ვემსახურები. დღითიდღე იზრდება მისი მნიშვნელობა, რთულდება სასწავლო პროგრამები, შეიცვალა მოზარდი ახალგაზრდობის ფსიქიკა, ჩვენი სამუშაო პირობები კი შორსაა თანამედროვე მოთხოვნებისაგან. თუ ჩვენმა სპორტსმენებმა წარმატებას მიაღწიეს, ამას მთელი სასწავლებლის დამსახურებად მიიჩნევენ, ხოლო თუ ხელი მოეცარათ, მაშინ მხოლოდ ჩვენ, ფიზაღზრდის ხელმძღვანელებს გვადანაშაულებენ. არადა, ხშირად კარგი სპორტული ინვენტარიც სანატრელი გვაქვს. ერთ-ერთ თათბირზე, სადაც რაიონის განათლების განყოფილების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, პირდაპირ განვაცხადე: რვაკლასდამთავრებული ყმაწვილი ბირთვსა და ბადროს ერთმანეთისგან რომ ვერ გაარჩევს, აბა იმის აღმზრდელს რა უნდა ელაპარაკო-მეთქი. შევატყვე, ბევრს არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი, მაგრამ სატკივარს მალვა არ შველის — ძალზე მოუმზადებლები მოდიან სკოლიდან აღსაზრდელები. იქნებ სასკოლო რეფორმამ, კერძოდ კი ფიზაღზრდის დარგში შეტანილმა ცვლილებებმა მოგვცეს სასურველი შედეგი. კაცი იმედით ცოცხლობს.

**ალექსი პაპოშვილი.**
„ლელოს“ საკ. კორ.

გურჯაანი.

# სსრ კავშირის თასზე

**1988-89 წლების გათამაშება**

**7 მარტი (სამშაბათი)**

„ნეფთჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (მინსკი)

**მერვედფინალის საპასუხო მატჩი**

**29 აპრილი (შაბათი)**

**მეოთხედფინალი**

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)

**19 მაისი (პარასკევი)**

**ნახევარფინალური მატჩები**

**25 ივნისი (კვირა)**

**ფინალი**

**1989-90 წლების გათამაშება**

**სამოცდამეოთხედფინალური მატჩები**

**2 მაისი (სამშაბათი)**

„ხიმიკი“ (გროდნო) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი)

„ტექსტილშჩიკი“ (ტირასპოლი)— „ნისტრუ“ (კიშინიოვი)

**ამ წყვილებში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ოცდამეთორმეტედფინალში, აქ გამარჯვებული კი მეთექვსმეტედფინალურ მატჩში ეთამაშება უმაღლესი ლიგის წარმომადგენელს მოსკოვის „ტორპედოს“. იმავე წესით მოხდება სხვა ქვემოჩამოთვლილი წყვილების შეხვედრებიც უმაღლესი ლიგის გუნდებთან.**

„ატლანტასი“ (კლაიპედა) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)

„პოდოლიე“ (ხმელნიცკი) — „ოკეანი“ (ქერჩი)

**მეთექვსმეტედფინალში — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)**

„ვორსკლა“ (პოლტავა) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი)

ასკ (ოდესა) — „ჩაიკა“ (სევასტოპოლი)

**მეთექვსმეტედფინალში — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)**

„კრივბასი“ (კრივოი როგი) — „დაუგავა“ (რიგა)

„დნეპრი“ (მოგილიოვი) — „ბუკოვინა“ (ჩერნოვცი)

**მეთექვსმეტედფინალში — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)**

„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი)

„ტორპედო“ (ტაგანროგი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)

**მეთექვსმეტედფინალში — „სპარტაკი“ (მოსკოვი)**

„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)

„ტორპედო“ (რიაზანი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი)

**მეთექვსმეტედფინალში — „დინამო“ (მინსკი)**

„კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი)

„ზარია“ (კალუგა) — „დინამო“ (სტავროპოლი)

**მეთექვსმეტედფინალში — „დინამო“ (მოსკოვი)**

„დრუჟბა“ (მაიკოპი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი)

„დინამო“ (ვოლოგდა) — „სატურნი“ (რამენსკოე)

**მეთექვსმეტედფინალში — „არარატი“ (ერევანი)**

„ტრაქტორი“ (პავლოდარი) — „კაირატი“ (ალმა-ათა)

„მელიორატორი“ (ჩიმკენტი) — ასკ (როსტოვი)

**მეთექვსმეტედფინალში — „დინამო“ (კიევი)**

„სოხიბკორი“ (ხალკაბადი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)

„ნოვბახორი“ (ნამანგანი) — „ენერგეტიკი“ (კუსტანაი)

**მეთექვსმეტედფინალში — „დინამო“ (თბილისი)**

„კასანსაეცი“ (კასანსაი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)

„მეტალურგი“ (ნოვოკუზნეცკი) — „ალგა“ (ფრუნზე)

**მეთექვსმეტედფინალში — „პამირი“ (დუშანბე)**

„ლოკომოტივი“ (ჩიტა) — „კუზბასი“ (კემეროვო)

„ამური“ (ბლაგოვეშჩენსკი) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა)

**მეთექვსმეტედფინალში — „მეტალისტი“ (ხარკოვი)**

„ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — ცსკა

„სოკოლი“ (სარატოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)

**მეთექვსმეტედფინალში — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)**

„ზენიტი“ (იჟევსკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)

„გასტელო“ (უფა) — „გოიაზანი“ (ყაზახი)

**მეთექვსმეტედფინალში — „როტორი“ (ვოლგოგრადი)**

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „დინამო“ (ბათუმი)

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)

**მეთექვსმეტედფინალში — „ზენიტი“ (ლენინგრადი)**

„ზვეზდა“ (პერმი) — „გურია“ (ლანჩხუთი)

„ირტიში“ (ომსკი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)

**მეთექვსმეტედფინალში — „შახტიორი“ (დონეცკი)**

**1 ივნისი (ხუთშაბათი)**

ოცდამეთორმეტედფინალური მატჩები

**29-30 ივნისი (ხუთშაბათი-პარასკევი)**

მეთექვსმეტედფინალური მატჩები

**17-18 ივლისი (ორშაბათი-სამშაბათი)**

მეთექვსმეტედფინალური მატჩების საპასუხო შეხვედრები.

# ვ. გრანატკინის მემორიალზე

**ლენინგრადში** დამთავრდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. გრანატკინის საერთაშორისო მემორიალი ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

გათამაშების ბოლო ტურში სსრ კავშირის პირველი ნაკრების შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან ფრედ დამთავრდა—0:0, ასევე (0:0) ითამაშეს სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა, ხოლო ბელგიელებმა გაიმარჯვეს ჩინელებთან შეხვედრაში — 1:0.

სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა 8 ქულით მოიპოვა ტურნირის მთავარი პრიზი. მეორე ადგილზე გავიდნენ ბელგიელი ფეხბურთელები — 6 ქულა, ხოლო მესამეზე სსრ კავშირის მეორე ნაკრები — 5 ქულა.

# ტრადიცია... უპასუხისმგებლობა?

**მოსწავლეთა** არდადეგების დღეებში გაგრაში გაიმართა სპორტის დამსახურებული ოსტატის, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტნის შოთა იამანიძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. ასპარეზობა წლეულს მეთვრამეტედ ჩატარდა, მასში მონაწილეობა მიიღეს 1972-73 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა.

შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის რვა სპორტული სკოლის კოლექტივი ჩაება — „ნორჩი დინამოელი“, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (სამივე — თბილისი), ერევნის, როსტოვის, ხარკოვის სპორტინტერნატები, მოსკოვის „სმენა“ და გაგრის განათლების განყოფილების გუნდი. ისინი ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ, ქვეჯგუფებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი მთავარი პრიზისთვის აგრძელებდა ბრძოლას.

ნახევარფინალებში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის „ნორჩმა დინამოელმა“, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა, 35-ე სკოლამ და მოსკოვის „სმენამ“. პირველ ნახევარფინალში 35-ე სკოლის გუნდმა დიდი ანგარიშით — 4:0 სძლია ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს. საინტერესოდ წარიმართა მეორე ნახევარფინალიც, სადაც გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი თერთმეტმეტრიანი დარტყმები დაინიშნა. თბილისის „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელებმა დარტყმები უფრო ზუსტად შეასრულეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3.

მატჩში მესამე ადგილისთვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა დაამარცხა „სმენა“ — 1:0.

ფინალში ერთმანეთს თბილისის „ნორჩი დინამოელისა“ და 35-ე სკოლის გუნდები შეხვდნენ. მათი შეხვედრები, როგორც წესი, დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, გამონაკლისი არც ეს ფინალური მატჩი ყოფილა. 35-ე სკოლის გუნდი უფრო მომზადებული აღმოჩნდა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1, საპატიო თასსაც იგი დაეუფლა. გამარჯვებულ გუნდს წვრთნიან გ. გვანცელაძე და ვ. ნადირაძე (სკოლის დირექტორი ა. თურქია).

კარგად დაიწყეს წლევანდელი საფეხბურთო სეზონი 35-ე სკოლის წარმომადგენლებმა. მინიფეხბურთის პირველ საკავშირო გათამაშებაში, რომელშიც 1974 წელს დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ, ამ სკოლის წარმომადგენლებმა ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს, შემდეგ კი შოთა იამანიძის სახელობის თასსაც დაეპატრონენ. წინ უფრო საპასუხისმგებლო ტურნირებია, იმედს გამოვთქვამთ, 35-ე სკოლელები მომავალ ასპარეზობებშიც იტყვიან თავის სიტყვას.

გავაცნობთ მათ, ვინც ტურნირზე სხვებზე მეტად გამოიჩინა თავი. საუკეთესო მეკარედ დაასახელეს ვ. ნაჭყებია („ნორჩი დინამოელი“), მცველის პრიზი გადაეცა ვ. ბორისოვს (გაგრა), საუკეთესო ნახევარმცველად მიიჩნიეს გ. ხოსროშვილი („ნორჩი დინამოელი“), თავდამსხმელად — პ. გალუსტიანი (ერევნის სპორტინტერნატი), საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მიეკუთვნა ი. ნასყაშვილს (35-ე სკოლა). ასპარეზობაზე დაწესებული იყო პრიზი ყველაზე ტექნიკური მოთამაშისათვის, რომელიც თბილისის ახალგაზრდული სკოლის წარმომადგენელს გ. დევდარიანს ხვდა წილად. ამ ფეხბურთელმა სპეციალისტებისა და ფეხბურთის მოყვარულთა სიმპატიები დაიმსახურა. აღნიშნეს გამარჯვებული გუნდის მეკარის — დ. გვაზავას საიმედო თამაშიც.

განვლო ჭაბუკთა კიდევ ერთმა საინტერესო ასპარეზობამ, სამწუხაროა, რომ შეჯიბრებამ უკმაყოფილო დატოვა მონაწილე ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც.

რომელ მწვრთნელს გაუჩნდება მომავალში სურვილი უხელმძღვანელოს გუნდს ასპარეზობაზე, სადაც სამედიცინო პერსონალი არ არის? მწვრთნელები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ მათ ფეხბურთელებს თამაშის დროს რაიმე სერიოზული ტრავმა არ მიეღოთ, მატჩის წინ ისინი აძლევდნენ მითითებებს თავის აღსაზრდელებს და ახსენებდნენ, რომ თავი შეეკავებინათ ისეთი შეტაკებებისგან, სადაც საფრთხე იყო მოსალოდნელი. ასეთ დროს ჭაბუკ ფეხბურთელებს ძალაუნებურად შიშის გრძნობა უჩნდებათ, რაც შესაძლოა მათ მომავალშიც თან გაჰყვეს.

უხეირო იყო შეჯიბრების ორგანიზაციაც. კალენდრით გათვალისწინებული ორი მნიშვნელოვანი ტური უბრალო მიზეზით ჩაიშალა: გუნდების სტადიონზე მისაყვანი ავტობუსი ვერ მოძებნეს. ფინალური შეხვედრის შემდეგ კი „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელები სასტუმროში ტაქსებით დაბრუნდნენ.

ყველა მატჩს ასპარეზობაზე თითო არბიტრი ემსახურებოდა, რომლებიც ძლივს ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. გათამაშების მთავარი მსაჯის ს. პრავოვის გულმოდგინება რომ არა, შეიძლება ეს საინტერესო ასპარეზობა მთლიანადაც ჩაშლილიყო. რაც შეეხება სათამაშო მინდორს, რომელიც ტურნირს გამოუყვეს, იგი ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა.



**სურათზე: შოთა იამანიძის თასის 1989 წლის მფლობელი თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდი.**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტო.**

# საინტერესო 45 წუთს გპირდებით

**ფეხბურთის მოყვარულებს საქართველოს ტელევიზია კვირას, 22 იანვარს**

**ამ** დღეს 22 საათსა და 55 წუთზე ეკრანზე თქვენ იხილავთ იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის 15 იანვარს გამართული მორიგი ტურის მატჩების მიმოხილვას. იტალიის ჩემპიონატი დღეს მთელი მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრშია, ეს ბუნებრივია, რადგან ამჟამად ამ ქვეყნის კლუბებში გამოდიან საყოველთაოდ აღიარებული ფეხბურთის ვარსკვლავები მარადონა, ბასტენი, კარეკა, ქუნიორი, ლაუდრუპი, ზავაროვი... ფეხბურთის გულშემატკივართა ინტერესს ზრდის ისიც, რომ გაისად სწორედ იტალიის სტადიონებზე გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი.

მაშ ასე, საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქცია ხვალ გიმზადებთ საინტერესო გადაცემას.

# პელეს პრიზზე

**სან-პაულუში** (ბრაზილია) გრძელდება ვეტერან ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი პელეს პრიზზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1, ამ მატჩში დაწინაურდნენ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები (სიდკა), შესვენების შემდეგ იტალიელმა როსიმ ვერ გამოიყენა მეტოქის კარში დანიშნული 11-მეტრიანი, მაგრამ შემდგომში, მატჩის დასასრულს, მორინიმ შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

არგენტინისა და ინგლისის ვეტერანთა მატჩი დამთავრდა არგენტინელთა გამარჯვებით — 4:2.

ურუგვაისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების მატჩში გამარჯვებას ურუგვაელებმა მიაღწიეს — 1:0 (ბურთი გაიტანა რამირესმა). ფრედ ითამაშეს ბრაზილიისა და იტალიის გუნდებმა — 1:1. ბრაზილიელთაგან ბურთი გაიტანა სერჟიომ, იტალიელთა მხრივ — გრაციანიმ.

ტურნირში არ მონაწილეობს თვით ამ პრიზის დამწესებელი პელე. მან განაცხადა, რომ გამუდმებით ზრუნავს საკუთარ სპორტულ ფორმაზე, მაგრამ ამჟამად სხვა საქმეებითაა დაკავებული, ამიტომაც შეჯიბრებაზე ვერ გამოდის.



# სასამართლო გრძელდება

**დასასრულს** უახლოვდება სასამართლო პროცესი ბრიუსელში, სადაც ასამართლებენ 1985 წლის 29 მაისს ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე მომხდარი სისხლიანი დრამის ბრალდებულებს. უეფა-ს თასის ფინალურ მატჩში იმ დღეს იტალიის „იუვენტუსი“ და ინგლისის „ლივერპული“ თამაშობდნენ, ხულიგანთა მიერ პროვოცირებულ დებოშში მაშინ დაიღუპა 39 კაცი, მრავალი მძიმედ დასახიჩრდა, დაზარალებულთა უმეტესობა იტალიელია.

სასამართლომ შეისწავლა მრავალი დოკუმენტი, მოწმეთა ჩვენებანი, ვიდეოჩანაწერები, განიხილავენ 26 ინგლისელი გულშემატკივრისა და 2 ბელგიელი პოლიციელის საქმეს.

სახელმწიფო ბრალმდებელმა, გენერალურმა პროკურორმა პიერ ერომ ხუთი საათიილაპარაკა პროცესზე. მისი აზრით, ინგლისელ გულშემატკივართაგან რვა კაცი არ მონაწილეობდა იმ ტრაგიკულ ამბავში, გარდა ამისა, კიდევ სამმა გულშემატკივარმა სხვადასხვა მიზეზით (არასრულწლოვანება, სასჯელის მოხდა სხვა დანაშაულისთვის, დამალვა) ვერ შეძლო ამ სასამართლოს წინაშე წარდგენა. დანარჩენ მსჯავრდებულთა მიმართ პიერ ერომ მოითხოვა 3-4 წლით პატიმრობა, რაც შეეხება პოლიციელებს, რომლებსაც ბრალად ედებათ დაუდევრობა თავიანთ მოვალეობათა შესრულებისას, პროკურორმა განაცხადა, რომ მთლიანად ენდობა სასამართლოს წევრთა ობიექტურობას და მიუდგომლობას.

თავისი სიტყვის დასასრულს გენერალურმა პროკურორმა სასამართლოს წევრებს ასე მიმართა: „სასამართლოს განაჩენი არა მარტო დამნაშავეთა გამოსწორებას ემსახურება, არამედ მკაცრი გაფრთხილებაცაა მათ მიმართ, ვისაც განზრახული აქვს მასობრივ სანახაობებზე ბელგიაში ჩამოვიდეს ხულიგნური მიზნებით. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ თითოეული მატჩი ზეიმად იქცეს და ოლიმპიური სულისკვეთების დემონსტრაციას ემსახურებოდეს“.

უახლოეს ორშაბათს სასამართლოზე დამცველთა გამოსვლას მოისმენენ.

## პირველი წრის შემდეგ

**აფრიკაში** მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ორი ფინალისტის გამოვლენა მრავალსაფეხურიანი სისტემით მიმდინარეობს. პირველი წრის მატჩების შემდეგ ბრძოლას 16 ნაკრები აგრძელებს, რომლებიც 4 ჯგუფად არიან დაყოფილი.

**„ა“ ჯგუფი.** ალჟირი, კოტ დივუარი, ლიბია, ზიმბაბვე.

**„ბ“ ჯგუფი.** ეგვიპტე, კენია, მალავი, ლიბერია.

**„ც“ ჯგუფი.** კამერუნი, ნიგერია, გაბონი, ანგოლა.

**„დ“ ჯგუფი.** მაროკო, ზაირი, ტუნისი, ზამბია.

ჯგუფებში გამარჯვებული 4 ნაკრები შემდეგ ორ წყვილს შექმნის, სადაც ორ-ორი მატჩი ტარდება და ამის შემდეგ ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ორი ფინალისტიც გამოვლინდება.

## საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი და საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ზონალური შეჯიბრება მძლეოსნობაში

# უშედეგოდ...

**ჩემპიონატი,** საერთოდ, მნიშვნელოვანი მოვლენაა სპორტის ნებისმიერ სახეობაში, იგი ერთგვარად აჯამებს წინა პერიოდში გაწეულ მუშაობას, სახავს (ნაჩვენები შედეგების მიხედვით) ორიენტირს მომავლისათვის და ა. შ.

საქართველოს მძლეოსანთა ჩემპიონატიც ამ სახეობის განვითარებისათვის გაწეული მუშაობის ზუსტი ანარეკლია. ოღონდ, წლევანდელი ზამთრის შეჯიბრება, რომელიც რამდენიმე დღის წინ დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში, ამ ფუნქციას ნამდვილად ვერ იკისრებდა. მიზეზი ის იყო (ჩვენ უკვე ვწერდით ამის შესახებ), რომ დიდთოვლობის გამო ასპარეზობაზე ვერ ჩამოვიდნენ დასავლეთ საქართველოს გუნდები და ჩემპიონატი ფაქტობრივად თბილისის საქალაქო პირველობას დაემსგავსა. ის კი არა, შეჯიბრება საერთოდ რომ არ ჩაშლილიყო, თბილისის გუნდის ხელმძღვანელებმა სამი ნაკრები გამოიყვანეს. მათ დაემატათ რუსთაველი სპორტსმენები და მორჩა — აი, მონაწილეთა მთელი შემადგენლობა.

სწორედ ამიტომ, შეჯიბრების მიმოხილვას აზრი არ აქვს, მაგრამ ის მაინც შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შედეგები დაბალი იყო. მაგალითად, ქალთა შორის ვერავინ შეძლო პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგის ჩვენება (ქალთა შორისო, კი ვამბობთ, მაგრამ ფაქტობრივად მძლეოსნურ სექტორში იუნიორთა ასაკის გოგონები გამოვიდნენ, მძლეოსან ქალთა ნაკრები რესპუბლიკაში საერთოდ არა გვყავს).

მაინცდამაინც არც ვაჟებმა გამოიჩინეს თავი, მხოლოდ ოთხმა მათგანმა შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი. ეს გააკეთეს მამუკა კიკაძემ 60 მ რბენაში (6,7), გელა ვეშაპიძემ 60 მ. თარჯრბენში (7,7), სიმაღლეზე მხტომელებმა იური ზაბროვსკიმ და ვლადიმერ მინაკოვმა, რომლებმაც 210-210 სმ აიღეს.

თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს იყო ჩვენს მძლეოსანთა სეზონის პირველი შეჯიბრება, ამასთან ბევრ სახეობაში, მონაწილეთა სიმცირის გამო, მეტოქეობა არც ყოფილა.

რესპუბლიკის ზამთრის ჩემპიონატი ორი დამოუკიდებელი (ჩათვლის მიხედვით) შეჯიბრებაა. საქართველოს ჩემპიონების გარდა მისი შედეგების მიხედვით ვლინდება აგრეთვე საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ზონალური პირველობის გამარჯვებული გუნდი, რომელიც მომდევნო ეტაპზე აგრძელებს გზას. თბილისის ნაკრებს მეტოქეობას ადრეც ვერავინ უწევდა და ახლა—მითუმეტეს. საერთოდ კი ეს შეჯიბრება მუდამ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

**გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას:**

**ქალები. 60 მ.** ა. გაბარაევა — 8,0; **200 მ.** დ. ხუბაშვილი — 25,7; **400 მ.** მ. ხიდაშელი — 1.00,4; **800 მ.** ი. შულგა — 2.31,2; **1500 და 3000 მ.** ლ. კაპანაძე — 4.59,7 და 10.46,3.

**60 მ თარჯრბენი.** ი. ხოტენაშვილი — 9,4; **სიმაღლეზე ხტომა.** მ. შაშკინა — 170 სმ; **ბირთვი.** გ. თედორაძე — 15,12 მ (ყველა სპორტსმენი თბილისელია).

**ვაჟები. 60 მ.** დ. ანტონოვი — 6,8; **200 მ.** ე. პოპოვი — 23,7; **400 და 600 მ.** ა. რაიკოვი — 52,4 და 1.25,5; **800 და 1000 მ.** ვ. ბარდინი — 1.53,7 და 2.30,0; **1500 მ.** დ. ცომარტოვი (რუსთავი) — 4. 09,2; **3000 მ.** ნ. კუნიცინი — 8.52,2.

**60 მ თარჯრბენი.** გ. ვეშაპიძე — — 7,7; **2000 მ წინაღობებით.** შ. ნადირაძე — 5.52,5.

**სპორტული სიარული, 5 კმ.** ე. ბაიაძე — 23.40,0; **სამხტომი.** ლ. იაშჩენკო — 14,73 მ; **სიგრძე.** გ. მაზახიმ-ოღლი (თელავი) — 7,27 მ. **სიმაღლე.** ი. ზაბროვსკოვი — 210 სმ; **ჭოკი.** ი. ბედოშვილი — 4 მ; **ბირთვი.** გ. უშიკიშვილი — 15,71 მ.

**გუნდური.** 1. თბილისი-2 — 115 ქულა; 2. თბილისი-1 — 90; 3. თბილისი-3 — 40; 4. რუსთავი — 13.



60 მეტრზე თარჯრბენის მონაწილენი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში

# თასები, თასები...

**როგორც** ვიუწყებოდით, კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში კაუნასის „ჟალგირისმა“ პირველი მარცხი განიცადა საბერძნეთის აეკ-თან. „ბ“ ჯგუფის მეოთხედფინალური ტურნირის მეორე შეხვედრაში დასავლეთგერმანიის „სტეინერმა“ იუგოსლავიის „ციბონას“ უმასპინძლა. გამარჯვება სტუმრებმა მოიპოვეს — 109:99.



| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი“ | 4 | 3 | 1 | 7 |
| „ციბონა“ | 4 | 2 | 2 | 6 |
| „სტეინერი“ | 4 | 2 | 2 | 6 |
| აეკ-ი | 4 | 1 | 3 | 5 |

პირველი მარცხი იწვნია „ა“ ჯგუფის ლიდერმა მადრიდის „რეალმაც“. იგი სტუმრად იმყოფებოდა საფრანგეთში და დამარცხდა ადგილობრივ „შალესთან“ — 85:95.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა „ჰაპოელის“ (ისრაელი) და „სნაიდეროს“ (იტალია) მატჩი. გამარჯვება იტალიელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს—92:89.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „რეალი“ | 4 | 3 | 1 | 7 |
| „შალე“ | 4 | 2 | 2 | 6 |
| „სნაიდერო“ | 4 | 2 | 2 | 6 |
| „ჰაპოელი“ | 4 | 1 | 3 | 5 |

კორაჩის თასის მეოთხედფინალურ ჯგუფში წარმატებით ასპარეზობს კიევის „სტროიტელი“. ამ დღეებში მას გასვლითი შეხვედრა ჰქონდა ჰოლანდიაში. უკრაინელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ადგილობრივი „დირექტბანკი“ საკმაოდ დიდი ანგარიშით — 125:92 (66:41). „სტროიტელი“ თავის ქვეჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს. ოთხი თამაშის შემდეგ მას სამი გამარჯვება აქვს.

ლილიან რონკეტის თასის გათამაშებაში მესამე გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის არმიელ ქალთა კოლექტივმა. ამჯერად მან საფრანგეთის „ვერსალს“ აჯობა — 78:75 (43:39). ცსკა-ს ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსები აქვს. ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში იგი 25 იანვარს იტალიის „ბასკეტპარმას“ უმასპინძლებს.

# მეექვსე მარცხი

**სპლიტი.** იუგოსლავიის ამ ქალაქში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი შეხვედრა. ადგილობრივმა „იუგოპლასტიკამ“ გათამაშების აუტსაიდერს, მოსკოვის ცსკა-ს უმასპინძლა.

როგორც ცნობილია არმიელთა კოლექტივში ძველი მწვრთნელი (ი. სელიხოვი), ახალმა დამრიგებელმა (ს. ბელოვი) შეცვალა, მაგრამ საქმეს ვერც ამ სიახლემ უშველა. პირველ ტაიმში ბრძოლა ისე თუ ისე თანაბარი იყო, ყოველ შემთხვევაში რამდენადმე შესამჩნევი უპირატესობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა (41:41).

შესვენების შემდეგ კი მასპინძლების უპირატესობა გამოიკვეთა, რომლებიც შეტევებშიც უფრო აგრესიულად თამაშობდნენ და თავსაც უფრო ორგანიზებულად იცავდნენ. „იუგოპლასტიკამ“ გაიმარჯვა — 89:77.

ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: ბერეჟნოი — 20 ქულა, გობოროვი — 15, მინაევი — 14 (მოსკოველებთან) და რაჯა — 24 ქულა (იუგოსლავიელებთან).

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე არმიელთა ახალმა მწვრთნელმა განაცხადა, გუნდს აშკარად ეტყობოდა დაღლილობა (უამინდობის გამო არმიელები ვერ გაფრინდნენ და ბელგრადში მატარებლით ჩავიდნენ 15-საათიანი მგზავრობის შემდეგ). მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო არმიელთა კაპიტანმა ტარაკანოვმა, რომელიც მწვრთნელმა დაასვენა.

# უპირატესობა მძიმე წონებში

**ტოკიო.** ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში (შორიკის თასი), რომელიც წლეულს მეშვიდედ ჩატარდა, მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის, იაპონიის, ავსტრალიის, ბრაზილიის, ბულგარეთის, ინგლისის, უნგრეთის, ესპანეთის, იტალიის, ჩინეთის, აშშ-ს, ტაივანისა და სამხრეთ კორეის 70-მდე ათლეტი. საბჭოთა და იაპონიის ძიუდოისტებმა თითქმის ყველა უმაღლესი ჯილდო მოიგეს, თანაც ჩვენი მოჭიდავეები უკეთ გამოვიდნენ მძიმე წონებში.

ასე მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონმა და სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, ჩელიაბინსკელმა გრიგორი ვერიჩევმა (მძიმე წონა) ფინალში დაამარცხა ოლიმპიადებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, ეგვიპტელი მოჰამედ რაშვანი, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ევგენი პეჩუროვმა (95 კგ) — ჰოლანდიელი ტეო მეიერი, ხოლო ბოლო ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა გროზნოელმა ბაშირ ვარაევმა (78 კგ) — იაპონელი ხიდეხიკო იოსიდა. ამავე წონაში რაშიდ იბრაჰიმოვმა მესამე ადგილი დაიკავა.

ბრინჯაოს ჯილდო მიიღო, აგრეთვე, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, პერმელმა ვლადიმერ შესტაკოვმა (86 კგ). ოქროს მედალი კი იაპონელ კიროკუ იამამოტოს ხვდა. ტატამის მასპინძლებმა მოიგეს შეხვედრები 60 (იოსინორი იმაგავა), 65 (მასახიკო ოკუმა) და 71 (ტოსიხიკო კოგა) კგ წონით კატეგორიებში.

იაპონელთა წარმატებით აღინიშნა გუნდური ტურნირიც. ფინალში მათ საბჭოთა ძიუდოისტები დაამარცხეს — 3:1. მესამე ადგილი გდრ-ის წარმომადგენლებს ხვდათ.

## ინფორმაცია

**ბონი.** ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს („ბალტიკის თასი“) თავის ქვეჯგუფში ლიდერობს ოლიმპიური ჩემპიონი, სსრ კავშირის ნაკრები. ბოლო მატჩში მან პოლონეთი დაამარცხა — 29:23 (16:12). ამ ჯგუფის მეორე შეხვედრის შედეგი ასეთია: გფრ (მეორე ნაკრები) — ჩეხოსლოვაკია 17:17 (9:10). სსრ კავშირის ნაკრებს აქვს 4 ქულა, პოლონეთს— 2. ჩეხოსლოვაკიასა და გფრ-ს თითო-თითო.

**პრაღა.** 28 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება ვაჟთა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში. წინასწარი თამაშები ჩატარდება ქვეყნის შვიდ ქალაქში. ქვეჯგუფის მატჩები — პლზენში, გოტვალდოვში, ქილინესა და პრეშოვში; ნახევარფინალები — ოსტრავასა და ბრატისლავაში; ფინალი — 10 მარტს, პრაღაში.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

**საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი**

**აცხადებს კონკურსს**

**ვაკანტური ადგილების დასაკავებლად**

— უფროსი მწვრთნელი სპორტული რეზერვების მომზადებაში — 3 ერთეული.

— უფროსი მწვრთნელი მძლეოსნობაში — 1 ერთეული, ათლეტიზმში — 1 ერთეული, ცხენოსნობაში — 1 ერთეული, ძიუდოში (ვაჟები) — 1 ერთეული, მშდ მრავალჭიდში — 1 ერთეული, მასობრივ სპორტში — 1 ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება სპორტსახკომის თავმჯდომარის სახელზე და სათანადო საბუთები საქართველოს სპორტსახკომში უნდა წარადგინონ ორი კვირის ვადაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.



**25 იანვარს** თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამოს“ და ვილნიუსის „სტატიბას“ კალათბურთელთა გუნდები.

დასაწყისი 20 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

# მსოფლიოს სპორტული თებერვალი

**თებერვალი,** ტრადიციულად, საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდარში ზამთრის სახეობების თვედ ითვლება. თებერვალში ჩატარდება ექვსი მსოფლიოსა და ორი ევროპის ჩემპიონატი. გაიმართება აგრეთვე ორი ტურნირი ევროპის თასზე. გთავაზობთ ამ შეჯიბრებათა კალენდარს:

**3.** ევროპის თასი ფარიკაობაში (ხმალი). **ბუდაპეშტი, უნგრეთი.**

**4-5.** მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში ქალთა შორის. **ლეიკ-პლესიდი, აშშ.**

**5-12.** მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. **სსრ კავშირი.**

**6-12.** მსოფლიო ჩემპიონატი საციგაო სპორტში. **ვინცერბერგი, გფრ.**

**11-12.** მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში ვაჟთა შორის. **ოსლო, ნორვეგია.**

**17-26.** მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურებში (ჩრდილოეთის დისციპლინები). **ლახტი, ფინეთი.**

**18-19.** ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში (დახურულ შენობაში) **ჰააგა, ჰოლანდია.**

**24.** ევროპის თასი ფარიკაობაში (რაპირა, ქალები). **ტურინი, იტალია.**

**25-26.** მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში ვაჟთა და ქალთა შორის (სპრინტერული მრავალჭიდი). **ჰერენვენი, ჰოლანდია.**

**28 თებერვ.-4 მარტი.** ევროპის ჩემპიონატი პნევმატური იარაღის სროლაში. **კოპენჰაგენი, დანია.**

# შესანიშნავი ათეული

**ისინი** ათნი არიან—„თავზეხელაღებული“ მოთხილამურე ქალები, რომლებიც ამჟამად ანტარქტიდის ყინულოვან სივრცეში მიიკვლევენ გზას. ჰაერის ტემპერატურა ზოგან მინუს 40 გრადუსამდე ეცემა, მაგრამ ისინი მაინც წინ მიდიან, დასახული მიზნისკენ და მას მხოლოდ 1350 კილომეტრის გავლის შემდეგ მიაღწევენ. გაბედულთა ჯგუფმა ჯერჯერობით 80 კილომეტრი დაფარა.

ამ უჩვეულო ყინულოვანი გადარბენის მიზანია გამოიკვლიოს ქალის ორგანიზმის შესაძლებლობები, მძიმე კლიმატურ პირობებში ადაპტაციის უნარი. ექსპედიციის წევრთა შორის არიან ექიმები, მეტეოროლოგები, რადისტები. ღამღამობით კარვებში ისვენებენ. ერთ-ერთი ასეთი დასვენების დროს ახალი წლის დადგომა იზეიმეს.

ამ ათეულის წევრები გამოცდილი მოთხილამურეები არიან, რომლებსაც არაერთი რთული მარშრუტი დაულაშქრავთ. რვა მათგანი მოსკოველია, ერთი — ტულელი და ერთიც — გორკელი. ექსპედიციის მონაწილე ირინა კუზნეცოვა ამ უჩვეულო ლაშქრობაზე სპეციალურ ფილმს იღებს.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05688